


ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში

თამაზ ვაშაკიძე

1. შესავალი

ინოვაციური ბიზნესი მსოფლიო განვითარების მთავარი ძალაა, რაც მთელს მსოფლიოში მის პრიორიტეტულობას განაპირობებს. მოვიყვანოთ რამდენიმე რიცხვითი მონაცემი, რომელიც ინოვაციური ბიზნესის სფეროში ძალთა თანაფარდობას ახასიათებს. მსოფლიოში მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებას უზრუნველყოფს 50-55 მაკროტექნოლოგია, ამასთან, 46 მათგანს 7 მოწინავე განვითარებული ქვეყანა ფლობს.

მსოფლიოს 188 უმსხვილესი კომპანიიდან 69 ევროკავშირზე მოდის, აშშ - 61, ხოლო იაპონიაზე - 21¹. ევროკავშირი მეცნიერებატევადი პროდუქციის მსოფლიო ბაზრის 18% უზრუნველყოფს (ნახ.1)², მაგრამ იმ ბაზარზე, სადაც განსაკუთრებულად დახვეწილ პროდუქციაზეა მოთხოვნილება, მისი წილი 31% შეადგენს.



ნახ.1 ქვეყნებისა და ევროკავშირის წილი მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე

სტატის მიზანია წარუდგინოთ მკითხველს თუ რა გზა გაიარა ევროკავშირმა ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის პერიოდში. როგორ დაუკავშირა

¹ Wikipedia (http://en.wikipedia.org/wiki/List_of_companies_by_revenue#Full_list)

² http://epp.eurostat.ec.europa.eu/statistics_explained/index.php/High-tech_statistics

წარმოებული საქონლის კონკურენტუნარიანობის გაზრდა მცირე მეწარმეობის ინოვაციური განვითარების სტრატეგიას. რა ძალისხმევა დასჭირდა ეფექტიანი და ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს და შესაბამისი მხარდამჭერი სახელმწიფო ინსტიტუციონალური სტრუქტურების შესაქმნელად.

სტატიის შესავალის შემდგომი ნაწილი შემდეგნაირადაა სტრუქტურირებული. პირველ პარაგრაფში განხილულია ევროპული საინოვაციო პოლიტიკა, მცირე და საშუალო ინოვაციური საწარმოს განსაზღვრის კრიტერიუმები, ლისაბონის სტრატეგიის არსი მცირე და საშუალო ინოვაციურ ბიზნესთან მიმართებაში და მცირე ბიზნესის აქტი თავისი ათი პრინციპით. მეორე პარაგრაფში განხილულია მცირე საინოვაციო საწარმოების მხარდაჭერა რეგიონული განვითარების ჩარჩოებში, მათი ჩამოყალიბების პრობლემები, მსს არასაგადასახადო საფინანსო დახმარების და საგადასახადო შეღავათების მაგალითები. მესამე პარაგრაფში განხილულია მსს მხარდაჭერა რეგიონული კლასტერების განვითარების ჩარჩოებში, უნგრეთის, დიდი ბრიტანეთის და ესტონეთის მაგალითებზე. დასარულს მოტანილია დასკვნები.

2. ევროკავშირის პოლიტიკა მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის სფეროში

2.1 ევროპული საინოვაციო პოლიტიკა

მოყვანილი მონაცემები მსოფლიო ბაზარზე ევროპის პოზიციების სიძლიერეზე მეტყველებენ. მიუხედავად ამისა, ევროკავშირმა ჩათვალა, რომ ეს საკმარისი არაა. ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის ლისაბონის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი სტრატეგიის მიღების შესახებ, რომელიც მეტი სამუშაო ადგილის შექმნისა და კეთილდღეობის ზრდის უმთავრეს მექანიზმად ევროპის ინოვაციური გზით განვითარებას გულისხმობს. დაიწყო ევროპის საინოვაციო განვითარების ახალი ეტაპი, რომლის კონცეფცია და გეგმა *ლისაბონის სტრატეგიის სახელითაა* ცნობილი.

ლისაბონის სტრატეგიის შემუშავება განაპირობა ზოგიერთ საინოვაციო კომპონენტში ევროპის ჩამორჩენამ, აშშ და სხვა კონკურენტებთან შედარებით. მაგალითად, დღეისათვის მთლიანად ევროკავშირში სამეცნიერო კვლევებზე იხარჯება მშპ 2%, აშშ-ში - 2.65, იაპონიაში - 3.1 (თუმცა, ევროკავშირის

ცალკეულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, მაგალითად შვედეთში - 3.6%, ფინეთში - 3.2%). ევროკავშირში კერძო სექტორის ხარჯები კვლევაზე საერთო ხარჯების - 57% შეადგენენ, აშშ - 68.5%. ჩამორჩენა შეინიშნება, აგრეთვე, მშპ-ში ვენჩურული კაპიტალის წილში, ახალი კომპანიების კაპიტალიზაციაში, ახლადშექმნილი მაღალტექნოლოგიური კომპანიების რაოდენობაში და ზოგიერთ სხვა ინდიკატორში, რომელიც ამ სფეროში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას ასახავს³.

ლისაბონის სტრატეგია გვაუწყა, რომ საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში სახელმწიფო და საერთოევროპული მართვის სისტემის ძირითად შემადგენლად იქცა. ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, კომერციული თუ სხვა სახის ინოვაცია – ცოდნის ახალი ფორმაა, რომელიც კონკურენტუნარიანობის უმთავრეს ფაქტორად წარმოიჩინა. ახალ ცოდნაში შეიძლება ვიგულისხმოთ ახალი კონცეფცია, ახალი დამოკიდებულება ფუნდამენტურ თუ გამოყენებითი კვლევების და მისი შედეგის მიმართ, დამოკიდებულება კერძო და სახელმწიფო ქონებასთან, შიდა და საერთაშორისო ურთიერთობათა შორის დამოკიდებულება და ა.შ.

რა თქმა უნდა, 2000 წელს *ლისაბონის სტრატეგია* ვერ შეიქმნებოდა, რომ არ ყოფილიყო ევროპაში 30 წლიანი, საერთოევროპულ და ეროვნულ პროგრამებზე დაფუძნებული, საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ევროინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა. ამ პროგრამებში მცირე მაღალტექნოლოგიური კომპანიების როლი გათვითცნობიერებული იყო.

მაგალითია, თუნდაც, ლისაბონის სტრატეგიის მიღებამდე დასრულებული ოთხი ხუთწლიანი კვლევის და მეხუთის ნახევრის, შემუშავებისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა. მე-4 ჩარჩო პროგრამაში, რომელიც უშუალოდ ლისაბონის სტრატეგიის მიღების წინ დასრულდა, 10 სპეციფიური პროგრამა ითვალისწინებდა მსხარდაჭერას, ორი ტიპის პროექტების ფორმით:

³ Goldberg I. *at al. Public Financial Support for Commercial Innovation*. Europe and Central Asia Knowledge Economy Study Part I. Chief Economist's Regional Working Paper Series, Vol.1, no.1, World Bank, 2006

- **კვლევითი გრანტი** (სრული ხარჯის 75%, არა უმეტეს 45,000 ეკიუსი⁴) სამუშაო პროგრამის მომზადებისთვის, პარტნიორების მოსაძებნათ, ეკონომიკური ეფექტიანობისა და განხორციელებადობის შეფასებისთვის;
- **კოოპერაციული კვლევითი პროექტი** მსხ-ვის, რომელსაც გარე კვლევითი დახმარება ესაჭიროება, გარე ორგანიზაციების მოსაზიდათ. ევროკომისია ფარავდა სრული ხარჯების 50%-ამდე, არა უმეტეს 500,000 ეკიუსი. კვლევის შედეგი მსხ ეკუთვნოდა.

ზოგიერთ პროგრამაში განსხვავებული პროექტებიც იყო გათვალისწინებული, მაგალითად:

- **ტელემატიკის გამოყენებით პროგრამაში** მსხ-თვის ტელემატიკის რესურსების წვდომაში დახმარება იყო გათვალისწინებული;
- **მოწინავე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამა**⁶ ეხმარებოდა იმ მსხ, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების პირველი მომხმარებლები ხდებოდნენ.

2.2. მცირე და საშუალო ინოვაციური საწარმოს განსაზღვრება

მცირე და საშუალო საწარმოს განსაზღვრება დროდადრო იცვლება ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების შესაბამისად. მსხ მოქმედი ევროპული განმარტება (2005 წლის 1 იანვრიდან) ასეთია⁷:

- საშუალო საწარმოები: 50 – 249 დასაქმებული, წლიური ბრუნვით 50 მლნ ევრომდე და საწარმოს საბალანსო ღირებულებით 43 მლნ ევრომდე;
- მცირე საწარმოები: 10 - 49 დასაქმებული, წლიური ბრუნვით და საბალანსო ღირებულებით არაუმეტეს 10 მლნ ევრო;
- მიკროსაწარმოები: 9 ან ნაკლები დასაქმებული, წლიური ბრუნვით და საბალანსო ღირებულებით არაუმეტეს 2 მლნ ევრო.

ევროკავშირმა დაადგინა, აგრეთვე, *ინოვაციური საწარმოს* და *ახალგაზრდა ინოვაციური საწარმოს* ცნებები⁸. საწარმო ინოვაციურია, თუ ბოლო სამი

⁴ ეკიუს – ევროპული (უნაღლო ანგარიისწორებისთვის განკუთვნილი) ფულადი ერთეული ევროს შემოღებამდე. 1ეკიუს = 1 ევროს.

⁵ cordis.europa.eu/telematics/tap_transport/home.html

⁶ cordis.europa.eu/infowin/acts/programme/index.html

⁷ The New SME Definition. Increased opportunities in EU research. European Commission, 2005. (ec.europa.eu/research/sme-techweb/pdf/sme-definition_en.pdf)

⁸ Young Innovative Enterprise Scheme. COMMUNITY FRAMEWORK FOR STATE AID FOR RESEARCH AND DEVELOPMENT AND INNOVATION. (2006/C 323/01), clause 5.4.

წლიდან ერთ-ერთი წლის ხარჯები კვლევასა და შემუშავებაზე აღემატება ბრუნვის 15%, და, გარდა ამისა, შესაბამისმა წევრმა-სახელმწიფომ უნდა დაადგინოს, რომ საწარმოს პროდუქცია და მიმართულება კონკურენტუნარიანია ევროკავშირის ბაზარზე. ახალგაზრდა საწარმოს მიიხნევა 6 წლამდე ასაკის მქონე საწარმო.

ზოგადად მცირე ბიზნესი და ინოვაციური მეწარმეობა არ არის ერთი და იგივე. მცირე ბიზნესი ჭარბ უმრავლესობაში არ არის ინოვაციური. ტერმინი "ინოვაცია", მიუხედავად განმარტებათა სიმრავლისა, ალბათ, ყველაზე ზუსტად ამ ტერმინის ავტორმა, *ი. შუმპეტერმა*, განმარტა: "ინოვაცია არის კომერციალიზირებული გამოგონება". აქედან გამომდინარე, ინოვაცია, ფართო გაგებით, ინოვაციური პროცესის საბოლოო შედეგია და ბაზარზე რეალიზებადი, ახალი ან სრულყოფილი პროდუქტის სახით გამოდის. შესაბამისად, ის მცირე საწარმოები, რომლებიც არსებული ან ახალი ტექნოლოგიით ახალ პროდუქტს აწარმოებენ, აგრეთვე, ახალი ტექნოლოგიით – ცნობილ პროდუქტს, მცირე საინოვაციო საწარმოებად გვევლინებიან.

2.3. ლისაბონის სტრატეგია და მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესი

თანახმად *მცირე ბიზნესის აქტისა*, რომელიც ევროპაში 2008 წელს მიიღეს, მცირე და საშუალო საწარმოები ევროკავშირში საწარმოების საერთო რიცხვის (23 მილიონი) 99% მეტს შეადგენს. ისინი ევროპის ეკონომიკის ხერხემალს წარმოადგენენ, ქმნიან რა ევროპაში სამუშაო ადგილების უდიდეს ნაწილს (ახალი ადგილების 80%) და ევროპის მშპ 2/3 ავსებენ.

გარდა ამისა, პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ მცირე საწარმოებში ისეთი ინოვაციური იდეები წარმოქმნილა, რომლებმაც რევოლუციურად შეცვალეს ეკონომიკის მთელი სექტორები და მსხვილი კომპანიების კვლევებს დროში აჯობეს. ამასთან, ისინი ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელების/დიფუზიის მნიშვნელოვან ინსტრუმენტსაც წარმოადგენენ.

ზემოაღნიშნული აქტის იდეოლოგიას შეადგენს პრინციპი „ჯერ მცირეზე იფიქრე" (Think small first). ამ აქტით ევროკავშირის სამეწარმეო და სამრეწველო პოლიტიკის ორიენტაცია *მსხ* განვითარებაზე, ჯერ კიდევ 2000 წელს ლისაბონის სტრატეგიაში ხაზგასმული, გაძლიერდა და უფრო მიზნობრივი გახდა.

ლისაბონის სტრატეგიამ ევროპის საინოვაციო განვითარების პრობლემის გადაწყვეტა ინოვაციური *მსხ* მდგომარეობასთან და შესაძლებლობებთან, მათი პოტენციალის სრულ გამოყენებასთან დააკავშირა. მის ერთერთ ძირითად

მიმართულებათ განისაზღვრა ინოვაციური ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე და საშუალოს, დაწყებისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით:

- 2000 წელს ევროგაერთიანების საბჭომ და კომისიამ უნდა ჩამოაყალიბონ მონიტორინგის სისტემა ისეთ მაჩვენებლებზე, როგორცაა კომპანიის დასაფუძნებლად საჭირო დრო და სახსრები, ბიზნესისა და კვლევის სპეციალისტთა რაოდენობა, გადამზადების ხელმისაწვდომობა;
- კომისიამ სასწრაფოდ მოამზადოს კომუნიკაცია (Communication) სამეწარმეო, ინოვაციური და ღია ევროპის შესახებ და, აგრეთვე, *მრავალწლიანი პროგრამა საწარმოებისა და მეწარმეობის თაობაზე⁹ 2001-2005 წლებისთვის;*
- *საბჭომ და კომისიამ* მოამზადონ *მცირე საწარმოების ევროპული ქარტია* (წესდება), რომელიც განიხილავს მცირე კომპანიებს, როგორც სამუშაო ადგილების მთავარ გენერატორებს და უპასუხებს მათ მოთხოვნებს;
- *საბჭომ და კომისიამ* 2000 წელს მოამზადონ ანგარიში ევროპული საინვესტიციო ბანკისა და ევროპული საინვესტიციო ფონდის არსებული ინსტრუმენტების შესწავლის თაობაზე, რათა დაფინანსებამ მიმართულება დამწყები ბიზნესების, მაღალტექნოლოგიური ფორმების, მიკრო-საწარმოებისა და სხვა კაპიტალ-სარისკო ინიციატივებისკენ შეიცვალოს.

გარდა ამისა, მსხ მხარდამჭერი ზომები გათვალისწინებული იყო *ლისაბონის სტრატეგიის* სხვა მიმართულებებშიც, როგორცაა განათლება-გადამზადება, ერთიანი კვლევითი სივრცის შექმნა და სხვა.

ლისაბონის სტრატეგიის მიღებისთანავე, 2000 წელს, ევროკავშირმა შეიმუშავა და დაამტკიცა *მცირე საწარმოების ევროპული ქარტია*¹⁰, სადაც მოყვანილია მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ათი ძირითადი მიმართულება. აი ეს მიმართულებები:

განათლება და გადამზადება მეწარმეობის სფეროში

⁹ On a multiannual programme for enterprise and entrepreneurship, and in particular for small and medium-sized enterprises (SMEs) (2001-2005). Council Decision of 20 December 2000 (2000/819/EC). OJ L 333 of 29.12.2000

¹⁰ The European Charter for Small Enterprises. Decision of the European Council, Feira, 19-20 June 2000.

(http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/files/charter/docs/charter_en.pdf)

ევროპა იზრუნებს სამეწარმეო სულის აღზრდასა და მართვის უნარ-ჩვევების სწავლებაზე დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტამდე, სპეციალობის მიუხედავად და, აგრეთვე, მცირე საწარმოების მენეჯერთა გადამზადებაზე.

საწარმოების უფრო იაფად და სწრაფად დაფუძნება

დაფუძნების ღირებულება მსოფლიოში ყველაზე იაფი უნდა გახდეს. წევრმა ქვეყნებმა, რომელთაც დაფუძნების პროცედურები ხანგრძლივი აქვთ, უნდა აიღონ სწორება მოკლევროცედურიან ქვეყნებზე. უზრუნველყოფილ უნდა იქნას კომპანიების დისტანციური ელექტრონული რეგისტრაცია.

უკეთესი კანონმდებლობა და წესები

როგორც გაერთიანების, ასევე ქვეყნების დონეზე, უნდა გაკეთდეს კანონმდებლობის რევიზია, რათა მცირე ბიზნესისთვის გამარტივდეს წესები გაკოტრებისა და კონკურენციის სფეროებში. კანონმდებლობაში, როგორც ევროპულ, ასევე ეროვნულ დონეზე, სადაც კი შესაძლებელია, მცირე ბიზნესისთვის უნდა გაკეთდეს არსებული რეგულაციური ვალდებულებებისგან გამანთავისუფლებელი გამონაკლისები.

კვალიფიკაციის ამბღლების ხელმისაწვდომობა

ევროკავშირი უნდა დარწმუნდეს, რომ გადამზადების ინსტიტუტები და სამუშაოდან მოუწყვეტლად სწავლების სქემები აწვდიან მცირე ბიზნესისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს და უზრუნველყოფენ უწყვეტ განათლებასა და კონსულტირებას.

ელექტრონული წვდომის გაუმჯობესება

საჯარო ადმინისტრაცია გააძლიერებს ელექტრონულ ურთიერთობას მცირე ბიზნესთან. გადასახადების დაბრუნება, კონსულტაცია და ინფორმაციის მიღება ონ-ლაინ რეჟიმში უნდა გაიაფდეს და გაადვილდეს.

მეტი სარგებელი გაერთიანებული ბაზრისგან

მცირე ბიზნესმა უნდა იგრძნოს, რომ ბაზრის გაერთიანების დასრულება იმგვარად ხდება, რომ იგი მეგობრულ გარემოს ქმნის, პირველ რიგში ბიზნესისთვის კრიტიკულ სფეროებში, როგორცაა ელექტრონული კომერცია, ტელეკომუნიკაცია, კომუნალური სფერო, სახელმწიფო შესყიდვები, საზღვარგარეთ ფულის გადახდა და ახალ ბაზრებზე შეღწევა.

დაბეგვრა და საფინანსო საკითხები

საგადასახადო სისტემამ უნდა წაახალისოს წარმატება, ბიზნესის დაწყება, მცირე საწარმოს გაფართოება, პერსონალური ეფექტიანობა. ფინანსების

ხელმისაწვდომობა მცირე ბიზნესისთვის უნდა გაიზარდოს, რისთვისაც უნდა შემცირდეს ბარიერები პან-ევროპული კაპიტალის ბაზრისთვის, *საფინანსო მომსახურების სამოქმედო გეგმისა და სარისკო კაპიტალის სამოქმედო გეგმის* განხორციელებისთვის. საბანკო სისტემასა და მცირე ბიზნესს შორის კრედიტებისა და სარისკო კაპიტალის მიწოდების პირობები უნდა შეიქმნას. *სტრუქტურული ფონდებისა*¹¹ და *ევროპული საინვესტიციო ბანკის* ინიციატივების ხელმისაწვდომობა უნდა გაუმჯობესდეს დამწეებთათვის და მაღალტექნოლოგიური მცირე ბიზნესისთვის¹².

მცირე საწარმოების ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება

ევროკავშირი გააძლიერებს ტექნოლოგიების გაცრცელებას მცირე საწარმოების მიმართულებით და, აგრეთვე, მათ მიერ ტექნოლოგიების პოვნის, გადარჩევისა და ათვისების უნარის გაძლიერებაზე მიმართულ არსებულ პროგრამებს. გაძლიერდება ტექნოლოგიური კოოპერაცია და გაცვლა სხვადასხვა ზომის კომპანიებს შორის, კერძოდ, მცირე საწარმოებს შორის. შემუშავდება უფრო ეფექტიანი კვლევითი პროგრამები მიმართული ცოდნისა და ტექნოლოგიის კომერციულ გამოყენებაზე. მიღებული იქნება მცირე საწარმოებისთვის ხარისხისა და სერტიფიკაციის სისტემები. მნიშვნელოვანია ევროგაერთიანების პატენტის შემოღება და მისი მიღების გაადვილება. მხარდაჭერილი იქნება თანამშრომლობა მცირე საწარმოებს, უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებს შორის. ეროვნულ და რეგიონულ დონეზე დონისძიებები ხელს შეუწყობს ფირმათაშორის კლასტერებისა და ქსელების წარმოქმნას, პან-ევროპულ თანამშრომლობას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითები გამოვლენილი და გარცელებული იქნება. ხელი შეეწყობა მცირე საწარმოების თანამშრომლობას, მიმართულს საერთოევროპულ და მესამე ქვეყნების ბაზრებზე გასვლაზე.

წარმატებული ელექტრონული ბიზნესის მოდელები და უმაღლესი კლასის მცირე ბიზნესის მხარდაჭერა.

ევროკომისია და წევრი ქვეყნები იმოქმედებენ ერთობლივად ისეთი საინფორმაციო და ბიზნესის ხელშემწყობი სისტემების, ქსელებისა და მომსახურების შესაქმნელად, რომელიც ადვილად გასაგები და მისაწვდომი და,

¹¹ Structural Funds: ERDF, ESF, Cohesion Fund და სხვა

(http://ec.europa.eu/regional_policy/funds/feder/index_en.htm). უფრო დეტალურად – თავი 1, გვ. 3

¹² მაღალტექნოლოგიური ბიზნესის იდენტიფიცირების მეთოდები იხილეთ ინტერნეტ- გვერდზე

http://epp.eurostat.ec.europa.eu/cache/ITY_SDDS/en/htec_esms.htm

ამავე დროს, ბიზნესის მოთხოვნების რელევანტურია. უზრუნველყოფილი იქნება ევროპის მასშტაბით რჩევისა და დახმარების (მათ შორის ბიზნეს-ანგელოზების მხრიდან¹³) წვდომა, რისთვისაც ვებ-საიტებიც იქნება გამოყენებული. მოქმედებას დაიწყებს *მცირე და საშუალო საწარმოების ობსერვატორია*¹⁴.

ევროკავშირისა და ეროვნულ დონეებზე მცირე საწარმოთა ინტერესების წარმოდგენის გაძლიერება და ეფექტურობის გაზრდა

ევროკომისია ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად კოორდინაციას გაუწევს ევროპულ და ეროვნულ პოლიტიკებს, გამოიყენებს *მრავალწლიანი პროგრამა საწარმოებისა და მეწარმეობის თაობაზე* და სხვა მექანიზმებს, მონიტორინგს გაუწევს პროცესს, ხოლო შედეგებს ევროკავშირის გაზაფხულის სამიტს მოახსენებს ყოველწლიურად.

ღისაბონის სტრატეგიის რეალიზაციის ჩარჩოებში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ მიღებულ პოლიტიკურ დოკუმენტებში, ევროკავშირის ექსპერტებმა ხუთი ძირითადი ტენდენცია გამოჰყვეს:

1. პან-ევროპულ და ნაციონალურ დონეზე ბევრად მეტი ყურადღება ექცევა იმ პერსონალის კომპეტენტურობას, რომელიც ინოვაციების სფეროში და ინოვაციურ პროცესში ჩართულ მხარეებს შორის ცოდნის აქტივირებით არის დაკავებული.
2. ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში გაიზარდა ინოვაციური პოლიტიკის რეგიონალური შემადგენელი, რაც *ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების* მიერ მხარდაჭერილი მიზნების და ინიციატივების კოორდინაციით არის გამოწვეული.
3. *მსს* სტიმულირება მკვეთრად გაიზარდა.
4. ევროკავშირის ქვეყნებში, საინოვაციო სისტემების ეფექტიანობის გასაზრდელად, ყურადღება გამახვილებულია ბიზნეს-გარემოს ფორმირებაზე და სახელმწიფო რეგულირების შესაბამის ზომებზე.

¹³ **ბიზნეს - ანგელოზი** – კერძო ინვესტორი, რომელიც საკუთარ სახსრებს საწარმოს ჩამოყალიბების ან ახალი ტექნოლოგიის დანერგვის ეტაპზე საინოვაციო პროექტებში დებს, რაც ჩადებული თანხის დაბრუნებას და წარმოებაში შესაბამის წილს ითვალისწინებს.

¹⁴ The Observatory of European SMEs – მოქმედებდა 2008 წლამდე. ამჟამად გარდაქმნილია SME Performance Review-დ (http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/performance-review/index_en.htm)

5. შემცირებულია ის ბარიერები, რომლებიც ინოვაციური სისტემების ფორმირებას და ფუნქციონირებას უშლიდა ხელს. დიდი ყურადღება ექცევა ინოვაციური პროცესის მონაწილეთა თანამშრომლობის და პარტნიორობის ჩამოყალიბებას.

უკვე 2004 წელს ცხადი გახდა, რომ, თვალსაჩინო მიღწევების მიუხედავად, ლისაბონის სტრატეგიაში 2010 წლისთვის დასახული ამბიციური მიზნების ნაწილი ვერ იქნება მიღწეული¹⁵. საჭირო იყო გარკვეული მიმართულებებით მუშაობის გაძლიერება და სრულყოფა. მსს მიმართებაში ეს 2006 წელს მიღებულ *ბიზნესისთვის კვლევაში, შემუშავებასა და ინოვაციაში სახელმწიფო დახმარების ევროპული ჩარხის შესახებ*¹⁶ გადაწყვეტილებაში (განხილული იქნება ქვემოთ) და 2008 წელს მიღებულ *ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტში* აისახა. მისი საერთო სულისკვეთებაა, რომ მეწარმეობა და მასთან დაკავშირებული რისკის გაწვევის მზაობა პოლიტიკური ღონისძიებების, მედიისა და საზოგადოების მიერ აღტაცებით უნდა იყოს აღქმული, ხოლო ადმინისტრაციის ყველა დონეზე – მხარდაჭერილი.

მცირე ბიზნესის აქტში ჩამოყალიბებულია 10 პრინციპი ევროკომისიისა და ეროვნული მთავრობებისთვის, რომელიც *მცირე საწარმეობის ევროპულ ქარტიას* ეყრდნობა, მაგრამ ახალი ხედვის გათვალისწინებით. ეს იყო გადაწყვეტილება მცირე ბიზნესთან დაკავშირებული საინოვაციო სტრატეგიის წინა ფრონტზე გადაწვევის შესახებ. აი ეს პრინციპები:

1. შეიქმნას გარემო, რომელშიც მეწარმეები და საოჯახო ბიზნესი მკვეთრ განვითარებას შეძლებს, ხოლო მეწარმეობა წარმატებული და მომგებიანი იქნება.
2. უზრუნველყოფილ იქნას ხელახალი დაწყების შანსი იმ პატიოსანი მეწარმეებისთვის, რომლებმაც გაკოტრება განიცადეს;
3. მსს-თვის შემუშავდეს წესები "ჯერ მცირეზე იფიქრე" პრინციპის შესაბამისად;

¹⁵ Facing the challenge. The Lisbon strategy for growth and employment. Report from the High Level Group chaired by Wim Kok. Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, 2004. (http://ec.europa.eu/growthandjobs/pdf/kok_report_en.pdf)

¹⁶ State Aid Act - COMMUNITY FRAMEWORK FOR STATE AID FOR RESEARCH AND DEVELOPMENT AND INNOVATION. (2006/C 323/01)

4. მიღებულ იქნას ზომები, რათა საჯარო ადმინისტრაციები მსს საჭიროებების მიმართ მგრძობიარენი გახდეთ
5. საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტები მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებებს უნდა მიესადაგონ: უზრუნველყოფილ იქნას მსს მონაწილეობა საჯარო შესყიდვებში და მათ ინტერესებში უკეთ იქნას გამოყენებული სახელმწიფო დახმარება;
6. უზრუნველყოფილ იქნას მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსების მისაწვდომობა და განვითარებულ იქნას სამართლებრივი და საქმიანი გარემო, რომელიც, კომერციული ოპერაციების პროცესში, მათთვის დროულ გადახდებს უზრუნველყოფს;
7. დახმარება აღმოეჩინოს მსს ერთიანი ბაზრისაგან მეტი სარგებლის მიღებაში;
8. დახმარება გაეწიოს მსს ცოდნის ამაღლებასა და ყველა ფორმის ინოვაციაში;
9. საშუალება მიეცეთ მსს გარემოსდაცვითი გამოწვევები ბიზნეს-შესაძლებლობებად აქციონ;
10. შეიქმნას პირობები მსს საერთაშორისო თანამშრომლობისთვის.

ზემოაღწერილი მცირე ბიზნესის აქტი საკანონმდებლო დოკუმენტი არაა. ესაა სამოქმედო გეგმა. თითოეული პრინციპის რეალიზაციისთვის შედგენილია გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და მოთხოვნები ევროკომისიისა და, უმთავრესად, ეროვნული მთავრობების მიმართ. ეს სავსებით სამართლიანი და გასაგებია, რადგანაც მსს საქმიანობას ძლიერი რეგიონული (ადგილობრივი) განზომილება აქვს.

ზემოსხენებული პრინციპები ევროპაში ყველა დონის პოლიტიკის მკეთებლებისთვის მოქმედების საფუძველია. ამის შესაბამისად, ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ პროგრამებსა და გეგმებში აისახა მსს განვითარების საკითხები. ევროპულ დონეზე, პირველ რიგში, ესაა: *კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა*¹⁷ საინფორმაციო ტექნოლოგიების, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სფეროებში (3.6 მლრდ ევრო მსს-თვის 2007-2013 წლებში); *კვლევისა და ინოვაციის მე-7 ჩარჩო პროგრამა*¹⁸, რომელშიც 5 მლრდ ევრო მცირე საწარმოებში კვლევების დაფინანსებისთვისაა

¹⁷ Competitiveness and Innovation Framework Programme (CIP) of the European Commission (2007 to 2013) Decision No 1639/2006/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 2006

¹⁸ The 7th Framework Programme (cordis.europa.eu/fp7)

გათვალისწინებული 2007-2013 წლებში; ევროპული რეგიონული პოლიტიკის ჩარჩოებში რეგიონული განვითარების ფონდის, სოციალური ფონდისა და ერთობის ფონდის, აგრეთვე, ევროპული საინვესტიციო ფონდის პროექტები და ინიციატივები¹⁹ და სხვა. ამგვარად, ევროპული პროგრამების დონეზე მსს საინოვაციო საქმიანობისთვის (კვლევისთვის, საცდელი ნიმუშების შექმნისთვის და ა. შ.) ფართო შესაძლებლობები ექმნება, მცირე ბიზნესის აქტივობის შესაბამისად. იაპონიასთან და აშშ-თან შედარებით სარისკო კაპიტალი დამწვები საინოვაციო ბიზნესის მხარდასაჭერად ევროპაში მცირეა (მის ყველა გამოვლინებაში – ბიზნეს ანგელოზები, ვენჩურული კაპიტალი, აქციების ბაზარი). ევროპული საინვესტიციო ფონდის მთავარი ამოცანა ამ ხარვეზის გამოსწორებაა. იგი აძლევს თანხებს არა ბიზნესს, არამედ საფინანსო ინსტიტუტებს, რათა მათი საინოვაციო პროექტებთან დაკავშირებული რისკები შეამციროს და სარისკო კაპიტალის ზრდა წახალისოს.

მსს არასაფინანსო დახმარების მიმართულებით ევროპულ დონეზე აღსანიშნავია ორი მსხვილი ქსელის მოქმედება (და უწყვეტი განვითარება) ევროპული ბიზნესის ქსელი (EBN – www.ebn.eu) და ქსელი ევროპული საწარმო (Enterprise Europe Network – www.enterprise-europe-network.ec.europa.eu). მათი საქმიანობა მცირე ბიზნესის აქტის პრაქტიკულად ყველა პუნქტის შესრულებას უწყობს ხელს. ამავე დროს, ორივე ქსელი მსს მიმართ ეროვნული და რეგიონული ვალდებულებების შესრულებასაც ემსახურება, რადგანაც მათი ცენტრები ადგილებზე ემსახურებიან საწარმოებს.

ამგვარად ვხედავთ, რომ ევროკავშირში ლისაბონის სტრატეგიაში დეკლარირებული ინოვაციური მსს როლი ამ სტრატეგიის ჩარჩოებში პრაქტიკულად ყოველწლიურად იზრდება, ხოლო მათთვის დახმარების აღმოჩენის ინსტრუმენტები ფართოვდება და იზრდება. ევროკავშირი, რომელიც პატიოსან კონკურენციას ყურადღებით ადევნებს თვალყურს და, ამასთან დაკავშირებით, კრძალავს საწარმოებისთვის ასიმეტრიულ დახმარებას

¹⁹ European Regional Development Fund (ec.europa.eu/regional_policy/funds/feder/index_en.htm), European Social Fund (ec.europa.eu/employment_social/esf/index_en.htm), Cohesion Fund (www.2007-2013.eu/by_scope_cf.php) ამ სამ ფონდში თავს იყრის ევროკომისიის სახსრების 36%, დაახლოებით 50 მლრდ ევრო წლიურად, რომელიც რეგიონებში მსს ხელშეწყობას ხმარდება. European Investment Fund (www.eif.org) – საინოვაციო მსს პროექტებში კერძო ინვესტიციების ზრდას ეხმარება.

(გამონაკლისებს და სხვა), უშვებს ერთ ფუნდამენტურ გამონაკლისს – ინოვაციური მშს-თვის საფინანსო და არასაფინანსო (მომსახურებით) დახმარების გაწევას.

3. ეროვნული პოლიტიკები ინოვაციური მსს სფეროში

მსს განვითარების პრობლემა პირველ რიგში ქვეყნებისა და მათი რეგიონების კეთილდღეობის, დასაქმების, პერსპექტივის პრობლემაა. მცირე ბიზნესის აქტიდან გამომდინარე, ეროვნული და რეგიონული (ადგილობრივი) მთავრობების საქმიანობა, მიმართული მსს დახმარებაზე, მრავალხრივ ღონისძიებებს მოიცავს.

ევროკომისიამ ამ დოკუმენტით ბიზნესისთვის კვლევაში, შემუშავებასა და ინოვაციაში სახელმწიფო დახმარების ევროპული ჩარხის შესახებ²⁰ ეროვნული მთავრობებისთვის დაადგინა დახმარების ნაირსახეობები და საზღვრები, რომელიც პატიოსანი კონკურენციის ევროპული და საერთაშორისო პრინციპების დარღვევას არ იწვევს. ეს სამუშაო კონკურენციის გენერალურმა დირექტორატმა შეასრულა. მასვე ევალება აღნიშნული პრინციპების დაცვის თვალყურისდევნება. ამ აქტით დაშვებულია საწარმოებისთვის სახელმწიფო დახმარების გაწევის შემდეგი მიმართულებები:

1. კვლევა და შემუშავება
2. წინასაპროექტო კვლევა და ტექნიკური დავალების შედგენა
3. მსს-თვის სამრეწველო ინტელექტუალური საკუთრების ხარჯების დაფარვა
4. ახალგაზრდა მცირე ინოვაციური საწარმოების დახმარება
5. მომსახურების სფეროში პროცესებისა და საორგანიზაციო ინოვაციის დახმარება
6. ინოვაციის სფეროში საკონსულტაციო და სხვა მხარდამჭერი სამხურებისთვის დახმარება
7. დახმარება უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების თხოვებისთვის (მოზიდვისთვის კვლევითი ორგანიზაციიდან ან მსხვილი საწარმოდან)
8. საინოვაციო კლასტერებისთვის დახმარება

²⁰ State Aid Act

ჩამონათვალიდან ჩანს, რომ მიმართულებების ნაწილი მხოლოდ მსხ-თვისაა განკუთვნილი. დანარჩენ მიმართულებებში მსხ უპირატესობებით სარგებლობენ. მაგალითად, მსხ მხრიდან თანადაფინანსების ზღვრული წილი (30%) უფრო დაბალია, ვიდრე მსხვილი საწარმოებისთვის. დოკუმენტის მიღება არ ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანა იყენებს მასში აღწერილ ყველა შესაძლებლობას, თუმცა გამოყენების შესაძლებლობა გააჩნია.

შეიძლება გამოვეყნოთ სახელმწიფოს მხრიდან დახმარების საგადასახადო და არასაგადასახადო წახალისების მეთოდები.

3.1. არასაგადასახადო საფინანსო დახმარების მაგალითები

განვიხილოთ დახმარების ზოგიერთი მიმართულება

- ახალგაზრდა მცირე ინოვაციური ბიზნესის წახალისება (ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალის პუნქტი 4.) გულისხმობს, რომ ინოვაციური იდეის მფლობელმა, 6 წლამდე ასაკის საწარმომ, შეიძლება მიიღოს გრანტი 1 მილიონ ევრომდე (ჩამორჩენილ რეგიონებში 1.5 მილიონ ევრომდე). გრანტი გაიცემა მხოლოდ ერთხელ. იგი არ უშლის ხელს სხვა მიმართულებით გრანტების მიღებას და მათთან შეიძლება გაერთიანდეს. ეს წესი არ ნიშნავს, რომ წევრ ქვეყანაში ასეთი გრანტები აუცილებლად უნდა გაიცემოდეს;
- ახალი ტექნოლოგიების სფეროში ინოვაციების წახალისების მიზნით, მთავრობები საწარმოებს პირდაპირ აფინანსებენ (*სახელმწიფო დახმარების აქტით* გათვალისწინებული წესების დაცვით). მაგალითად, **საფრანგეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში** და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მცირე საწარმომ შეიძლება მიიღოს ახალი პროდუქტის შემუშავებასთან დაკავშირებული გრანტი, რომელიც გასაწვეი მთლიანი ხარჯების 50% და მეტს შეადგენს. გრანტების სიდიდე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. გარდა ამისა, ერთსა და იგივე ქვეყანაში სხვადასხვა გრანტის გამცემ ორგანიზაციებს შეიძლება განსხვავებული წესები გააჩნდეთ. პრაქტიკაშია უპროცენტო სესხებიც – მაგალითად, **შვედეთში** და სხვა.
- მსხ გრანტები კვლევითი სამუშაოებისთვის შეიძლება გულისხმობდნენ საწარმოო კომპანიების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო ორგანიზაციების თანამშრომლობის სტიმულირებას. ეს დამახასიათებელია,

მაგალითად, მე-7 ჩარხო პროგრამისთვის, რომელშიც სამივე ტიპის ორგანიზაციების გამაერთიანებელ კონსორციუმებს ეძლევათ უპირატესობა.

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ევროპაში საკვანძო ამოცანაა დამწვები მსხთვისა და, ზოგადად, მსხ საინოვაციო პროექტებისთვის, სარისკო კაპიტალის გაზრდა. მას ევროკომისია, ეროვნული და რეგიონული მთავრობები ერთობლივად წვევებენ. სარისკო კაპიტალი სამი ტიპის დაფინანსებას მოიცავს: ბიზნეს-ანგელოზების მხრიდან არაფორმალური ინვესტირება, ვენჩურული კაპიტალი და სწრაფად მზარდ კომპანიებზე ორიენტირებული აქციათა ბაზარი. სამივე საშუალების ზრდაზეა მიმართული ევროპული საინვესტიციო ფონდის (EIF) დონისძიებები. იგი სარისკო ინვესტორებთან ერთად თანადამფინანსებლის როლში გამოდის. ევროკომისია ისახავს ამოცანას 2013 წლისთვის ევროპაში მთლიანად 3-ჯერ გაზარდოს სარისკო კაპიტალის დაბანდების მოცულობა.

არასაფინანსო დახმარების მაგალითებს შევვსებით ქვემოთ, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში დახმარების განხილვისას. იქვე იქნება განხილული საფინანსო დახმარების ზოგიერთი სხვა მაგალითები.

3.2. საგადასახადო შეღავათები (წახალისება)

ეს შეღავათები მთლიანად ეროვნულ პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

- ზოგიერთ ქვეყანაში საწარმოო მოწყობილობის ამორტიზაციის აჩქარებული სისტემაა შემუშავებული. მაგალითად, ბელგიაში ზოგიერთი ტიპის მსხ შეუძლია ჩამოწეროს მოწყობილობები (გააცხადოს სრული ამორტიზაცია) შეძენის წელიწადში²¹. დიდ ბრიტანეთში დაშვებულია ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების მთლიანი ღირებულების 50% ჩამოწერა მათი ექსპლოატაციის პირველსავე წელიწადში²². მაგრამ, უნდა ითქვას, რომ აჩქარებულ ამორტიზაციას ევროპაში სულ რამდენიმე ქვეყანა იყენებს, რაც ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს. ბოლო დროს ევროკომისიაში იხილება არამატერიალური აქტივების (მაგალითად, კომპიუტერული პროგრამების, მონაცემთა ბაზების და სხვა) ამორტიზაციის დადგენის საკითხი, რომელიც,

²¹ Promotion of SMEs' competitiveness. FINAL REPORT OF THE EXPERT GROUP SIMPLIFIED TAX COMPLIANCE PROCEDURES FOR SMES (PERSONAL INCOME TAX, CORPORATE INCOME TAX, PAYROLL TAX). EUROPEAN COMMISSION. ENTERPRISE AND INDUSTRY DIRECTORATE-GENERAL. June 2007. p.5

²² Jacek Warda. Incentives for ICT Adoption: Canada and Major Competitors. Information Technology Association. July 2005. p.5 (<http://www.itac.ca/uploads/research/05july.pdf>)

ერთის მხრივ, ნაკლებად ცხადია, ხოლო მეორე მხრივ, საინფორმაციო საზოგადოების ხანაში, ძალიან მნიშვნელოვანია²³.

- პრაქტიკაშია კვლევითი საგადასახადო კრედიტის (შეღავათის) დაწესება ან გარკვეული დროით გადასახადისგან განთავისუფლება (თახ პოლიდაე). მაგალითად, **საფრანგეთში**, ახლად შექმნილი ინოვაციური მცირე საწარმოები სარგებლობენ ზემოთ ხსენებული თახ პოლიდაე-თ. გარდა ამისა, მოქმედებს საგადასახადო კრედიტი, რომელიც ითვალისწინებს კვლევაზე ხარჯების წლიური ნაზრდის მხოლოდ 50% დაბეგვრას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საწარმომ კვლევა უნივერსიტეტს ან კვლევით ინსტიტუტს დაუკვეთა – 100%²⁴. მსგავსი სქემები მოქმედებს **ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, შვედეთში, იტალიაში**. კომპანიების მიერ კვლევაზე დახარჯული თანხის 100% შეიძლება აკლდებოდეს დასაბეგრი შემოსავლების ოდენობას. **ნიდერლანდებში** და **ავსტრიაში** ენერგეტიკის სფეროში მომუშავე საწარმოების მიმართ.

სხვა სქემებიდან შეიძლება აღვნიშნოთ:

- ინოვაციური პროექტების რეალიზაციიდან მიღებული მოგების გადასახადისგან რამოდენიმე წლით განთავისუფლება
- ინოვაციური კომპანიების აქციებიდან ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მიღებული დივიდენდების შეღავათიანი დაბეგვრა.
- საწარმოს მიერ დაკვეთილი ან უნივერსიტეტთან (კვლევით ორგანიზაციასთან) ერთობლივი კვლევის შედეგის გამოყენებით მიღებულ მოგებაზე გადასახადის განაკვეთის შემცირება.
- ინტელექტუალური საკუთრების ცნებით განსაზღვრული არამატერიალური აქტივების: პატენტების, ლიცენზიების, ნოუ-ხაუს და ა.შ. გამოყენებით მიღებული მოგების შეღავათიანი დაბეგვრა.
- დამწვებ ინოვაციურ კომპანიებში ინვესტიციების გადასახადისგან განთავისუფლება. მაგალითად, **დიდ ბრიტანეთში** დამწვებ ინოვაციურ კომპანიებში ჩადებული დაუბეგრავი ინვესტიციის ოდენობა 150 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

²³ *Intangible assets and tax depreciation*. COMMON CONSOLIDATED CORPORATE TAX BASE WORKING GROUP (CCCTB WG). DIRECTORATE-GENERAL TAXATION AND CUSTOMS UNION, Analyses and tax policies, Analysis and Coordination of tax policies, Meeting to be held on Thursday 10 March 2005, Centre de Conférences Albert Borschette, Brussels. Taxud E1 MH/CCCTB\WP\005\doc\en. Brussels, 21 February 2005

²⁴ <http://www.lowtax.net/lowtax/html/offon/france/fraspec.html>

- *ინოვაციურ კომპანიებზე* ან უმაღლესი სკოლის ორგანიზაციებზე მოწყობილობა-დანადგარების უსასყიდლო გადაცემის შემთხვევაში, გადამცემის დასაბეგრი მოგების შემცირება ამ მოწყობილობა-დანადგარების ღირებულებით.
- ინოვაციების დაფინანსებასთან დაკავშირებული ფონდების ანგარიშზე შენატანის გამოკლება დონორის დასაბეგრი მოგებიდან და სხვა.

3.3. მცირე საწარმოებისთვის დახმარება სამრეწველო ინტელექტუალურ საკუთრებაზე (სის) უფლებების სფეროში

ამჟამად ქვეყნებისა და რეგიონების მთავრობების დახმარება მსხ ინტელექტუალური საკუთრების უფლების (გამოგონებაზე, სამრეწველო ნიმუშზე, სავაჭრო ნიშანზე) მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ საჯარო სახსრებით დაფარვაში გამოიხატება, რაც *სახელმწიფო დახმარების ევროპული ჩარჩოს* მე-3 და მე-6 პუნქტებთან თანხმობაშია. მაგალითად, ევროგაერთიანების ზემოთ ხსენებული *ევროპული საწარმოს ქსელი* თავისი ცენტრების მეშვეობით ეხმარება *მსხ*-ს კონსულტაციებით *სის*, ლიცენზირების, ტექნოლოგიის გადაცემაზე მოლაპარაკებებისა და ინოვაციების სფეროში. მრავალ ქვეყანაში განავითარეს ეროვნული ქსელები გამოგონებების გამოყენების, საპატენტო სისტემის პრომოუშენის და ინოვაციის სტიმულირებისთვის. მათი დახმარების ობიექტი არის *მსხ*. ეს გავრცელებული პრაქტიკაა, დამახასიათებელი *სის* სფეროში აქტიური ყველა ქვეყნისთვის. ნებისმიერი გრანტის ხარჯზე შექმნილი *სის* ეკუთვნის საწარმოს და არა გრანტის გამცემს. ასევე გავრცელებული პრაქტიკაა *საპატენტო საქმიანობის ფონდების შექმნა მსხ* ხარჯების დასაფარად დაპატენტებიდან გამოყენებამდე (თანადაფინანსებით საწარმოს მხრიდან ან მის გარეშე). დახმარება საერთაშორისო დაპატენტებისთვის ხშირად 100 ათას აშშ დოლარს აღწევს. ეროვნული საპატენტო სააგენტოები *მსხ*-თვის *აწესებენ შემცირებულ მოსაკრებლებს*, ხოლო *საგადასახადო სისტემები ითვალისწინებენ შეღავათებს სის* სფეროში. ევროგაერთიანების იმ ქვეყნებს შორის, სადაც აღნიშნული პრაქტიკა, მთლიანად ან ნაწილობრივ, არსებობს, არიან ავსტრია, ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ესპანეთი, ირლანდია, იტალია, საფრანგეთი,

ფინეთი, შვეცია, ჰოლანდია, ბულგარეთი, ესტონეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი²⁵.

3.4. საზოგადოებრივი სახსრებით მიღებულ სის-ზე დაფუძნებული მცირე საწარმოების ხელშეწყობა

მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედი მთელს მსოფლიოში ხასიათდება სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის მექანიზმების შემუშავებით. ამ პერიოდში ეროვნულმა და რეგიონალურმა მთავრობებმა დაიწყეს მცირე ინოვაციური საწარმოების საწყისი განვითარების ხელშესაწყობათ ბიზნეს-ინკუბატორების ჩამოყალიბება და ფინანსირება. ინკუბაციის ერთ-ერთ მექანიზმად შეიძლება მივიჩნიოთ სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში მცირე ინოვაციური საწარმოების გამოყოფა კვლევითი ლაბორატორიებიდან იმ შემთხვევაში, როდესაც კვლევის შედეგი საგრძნობ კომერციულ პოტენციალს შეიცავს. ამ პროცესს სპინოფ-ს (სპინ-ოფფ) უწოდებენ. მან პირველ რიგში უმაღლესი სკოლის ორგანიზაციებთან დაიღო ადგილი. სპინოფისა და კვლევის შედეგების საჯარო კვლევითი ორგანიზაციებიდან (*სკო*) მრეწველობაში გადაცემის სხვა სქემების განხორციელებისას უადრესად მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების (გამოგონების, ნოუ-ჰაუს და სხვა) ფლობის საკითხების ისეთი გადაწყვეტა, რომ როგორც ორგანიზაციები, ასევე მკვლევარები დაინტერესებულნი იყვნენ კომერციალიზაციის პროცესში.

სკო შედეგების მრეწველობაში გადაცემის მხარდამჭერი სქემები ყველა ევროკავშირის წევრ ქვეყანაში არსებობს. გარკვეული წახალისების ზომები საპატენტო კანონმდებლობებშია გათვალისწინებული. მაგალითად, ყველა ქვეყანაში *სკო*-ს, მათ შედეგებზე დაფუძნებულ კერძო კომპანიების დაარსებაში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. ყველა ქვეყანაში საჯარო სახსრებით მიღებული *სის* ეკუთვნის ან *სკო*-ს ან მკვლევარს (და არა სახელმწიფოს). მაგრამ, ევროკავშირის ქვეყნებში დამოკიდებულება საზოგადოებრივი სახსრებით მიღებული *სის* მიმართ არაერთგვაროვანია (აშშ-გან განსხვავებით, სადაც ცნობილმა *ბეი-დოლის კანონმა*²⁶ დაარეგულირა ეს საკითხები).

²⁵ ოლეგ შატბერაშვილი. ინტელექტუალური საკუთრების საკითხები სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკაში: პატენტები (კვლევის ანგარიში, ნაწილი პირველი და მეორე). ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაცია, თბილისი, 2009.

²⁶ The Bayh-Dole Act at 25. BayhDole25, Inc., April 17, 2006

ვეროინტეგრაციისთვის ეს ხელისშემშლელი გარემოებაა, თუნდაც იმის გამო, რომ სხვადასხვა ქვეყნის კვლევითი ორგანიზაციების თანამშრომლობით შექმნილი სის საკითხების გადაწყვეტა შეიძლება გართულდეს. ცხრილში 2.1. მოყვანილია მონაცემები, რომელიც არსებულ მდგომარეობას ასახავს.

ცხრილი 3.1. საჯარო სახსრებით მიღებული სის უფლებისა და სალიცენზიო შემოსავლის განაწილება ევროპის ქვეყნებში²⁷

(სკო – საჯარო კვლევითი ორგანიზაცია, სის – სამრეწველო ინტელექტუალური საკუთრება)

ქვეყანა	ვის ეკუთვნის უფლება ინტელექტუალურ საკუთრებაზე	სალიცენზიო შემოსავლების (როიალტი) განაწილება	სხვა სტიმულები მკვლევარისთვის
1	2	3	4
ავსტრია	სკო ახალი გამოგონებები განიხილება ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ და სამ თვეში უნდა შეფასდეს მათი ვარგისიანობა შემდგომი კვლევის გასაგრძელებლად. თუ სამ თვეში არ იქნა გამოტანილი დადებითი გადაწყვეტილება გამოგონება გადაეცემა გამოგონებელს	სალიცენზიო გადასახადების განაწილება (როიალტი) სკო-ს და მკვლევარის შორის განისაზღვრება სკო პოლიტიკით სის მიმართ	-
ბელგია	სკო	სკო – ს წესდებაში არა აქვს გათვალისწინებული. როიალტის განაწილება. ხორციელდება მოლაპარაკებების	

²⁷ Коммерциализация результатов научно-технической деятельности: европейский опыт, возможные уроки для России. Под ред. В.В.Иванова, С.Клесовой, О.П.Лукши, П.В.Сушкова. М., ЦИПРАН РАН, 2006. 264с.

		საფუძველზე	
დანია	<i>სკო</i> (1999 წ.)	ნაწილდება <i>სკო</i> -სა და გამომგონებელს შორის	ინოვაციების რიცხვის გაზრდის მიზნით განიხილება ალტერნატიული ანაზღაურების ფორმა
ფინეთი	უფლებები სის გაანხიასამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს	უმადლესი სასწავლებლები არ იღებენ შემოსავალს როიალტის სახით	
შვედეთი	<i>სის</i> მფლობელი არის მკვლევარი	განაწილება ხორციელდება მოლაპარაკების საფუძველზე	განიხილება სამი ვარიანტი: 1. შედეგების გამოყენება პრაქტიკაში 2. პირადი ურთიერთობები 3. ეკონომიკური გამოსავალი: მკვლევარისთვის და
საფრანგეთი	<i>სკო</i>	1. 50% მკვლევარს, 50% ორგანიზაციას 2. თუ <i>სკო</i> არ არის უმარლესი სკოლა - მოლაპარაკების საფუძველზე	1. <i>სკო</i> -ს მკვლევარს ინოვაციის დანერგვისას ეძლევა უფლება 15% აქციების ფლობისა და 6 წლის განმავლობაში უნარჩუნდება სახელმწიფო მოხელის სტატუსი. 2. მკვლევარს უნარჩუნდება სახელმწიფო მოხელის სტატუსი და ეძლევა საშუალება თავისი სამუშაო დროს 20% დახარჯოს კომპანიის სამეცნიერო მხარდაჭერაზე
გერმანია	<i>სკო</i> (2002)	მოლაპარაკების საფუძველზე	-
ესპანეთი	<i>სკო</i>	არასაუნივერსიტეტო <i>სკო</i> -ში როიალტის 1/3 მიდის ორგანიზაციაში, 1/3 მკვლევარს და 1/3 ნაწილდება ორგანიზაციის	<i>სკო</i> -ს თანამშრომელს ძირითადი სამსახურის შენარჩუნებით აქვს უფლება იმუშაოს კერძო კომპანიაში 4 წლის განმავლობაში

		მართვის საბჭოს გადაწყვეტილებით. უმადლეს სკოლებში მკვლევარი როგორც წესი იღებს 1/3- დან 1/2	
საბერძნეთი	<i>სკო</i>	60% მკვლევარს, 40% <i>სკო</i> -ს. მკვლევარის წილი შეიძლება გაიზარდოს <i>სკო</i> -ს გადაწყვეტილებით	მკვლევარს, საკუთარი პროექტების განსახორციელებლად შეუძლია იმუშაოს კერძო სექტორში თანამდებობის და ხელფასის 50% შენარჩუნებით. ასეთი სტატუსის გაგრძელება შეიძლება კიდევ 3 წლით და ხელფასის 25% შენარჩუნებით
ირლანდია	<i>სკო</i>	<i>სკო</i> -ს პოლიტიკის მიხედვით	საფრანგეთის ანოლოგიური
იტალია	<i>სკო</i>	<i>სკო</i> იღებს 50%, მოლაპარაკებით არა ნაკლებ 30%	მკვლევარს 4 წლის განმავლობაში შეუძლია იმუშაოს ლიცენზიის მიმღებ კომპანიაში დამხმარე ტექნიკური პერსონალის თანამდებობაზე თანხის მოლაპარაკებით გადახდით
პორტუგალია	<i>სკო</i>	<i>სკო</i> -ს პოლიტიკის მიხედვით	-
გაერთიანებული სამეფო	<i>სკო</i>	<i>სკო</i> -ს პოლიტიკის მიხედვით	-

სპინოფის, შიდასაუნივერსიტეტო კომპანიების და ტექნოლოგიის *სკო*-დან გადაცემის სხვა სქემების ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერა გამოიხატება საუნივერსიტეტო ან რეგიონული ტექნოლოგიების გადაცემის ოფისების ჩამოყალიბებაში და დაფინანსებაში. **იტალიაში** მათ საუნივერსიტეტო ტექნოლოგიების გადაცემის ოფისებს (TTO – Technology Transfer Office) უწოდებენ. **გერმანიაში** 20-ზე მეტი ცენტრია (PVA – Patent Valorisation Agencies) დაფუძნებული უნივერსიტეტებში და კვლევით

ორგანიზაციებში (რეგიონული ფუნქციებით). სანიმუშო ცენტრად ითვლება ფრაუნჰოფერის საზოგადოების საპატენტო ცენტრი²⁸. ევროპაში ეს ცენტრები იხილება როგორც კიდევ უფრო ძლიერი მექანიზმის – ტექნოლოგიის გადაცემის დამაჩქარებელი *ტრანსპორტის* (თეცნოლოგიკური თრანსფერ ცცელერატორ Vეპიცლე) – პროტოტიპი. ამ მექანიზმის შემუშავებული პროექტი დაწყებულია ევროპული საინვესტიციო ფონდის მიერ²⁹.

3.5. მცირე საწარმოების კვლევითი მხარდაჭერა

ევროკავშირში მსს კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად შეუძლია მიიღოს ფინანსური მხარდაჭერა როგორც საერთოევროპულ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებში, ასევე ეროვნულ პროგრამებში მონაწილეობით. სახელდობრ, მათთვის ხელმისაწვდომია:

- კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის მე-7 ჩარჩო პროგრამა, რომელსაც ევროკომისია აფინანსებს, აღგენს პრიორიტეტებს და აწარმოებს პროექტების გადარჩევას;
- მე-7 ჩარჩო პროგრამის *ინიციატივა ევროსტარს* (urostars), რომელსაც 1/4 ევროკომისია აფინანსებს ჩარჩო პროგრამიდან, ხოლო 3/4-თ მონაწილე ეროვნული მთავრობები (ამასთან, უკანასკნელნი პროექტების გადარჩევაში არ მონაწილეობენ, ამას ევროპული საექსპერტო ჯგუფები აკეთებენ);
- ეროვნული კვლევითი პროგრამები, ეროვნული დაფინანსებით, პრიორიტეტებითა და გადარჩევის სისტემით, კონკრეტული ქვეყნის ამოცანების შესაბამისად (მათი ჯამური დაფინანსება მრავალჯერ აღემატება ჩარჩო პროგრამის დაფინანსებას);
- რეგიონული განვითარების პროგრამები ძლიერი კვლევითი შემადგენლით, რომელსაც ერთობლივად აფინანსებენ რეგიონული ადმინისტრაციები, ეროვნული მთავრობები და *ევროპული სტრუქტურული ფონდები*.

საზოგადოებრივი სახსრების ხელმისაწვდომობა მსს-თვის, გარდა კონკრეტული ინოვაციური ამოცანების გადაწყვეტისა, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ამოცანას ემსახურება. ესაა მსს სექტორში კვლევაზე საკუთარი ხარჯების ზრდის სტიმულირება, რითაც ევროპა ჩამორჩება აშშ-ს და რის გამოსწორების გარეშე

²⁸ Hubert Müller. 50 years of the "Fraunhofer Patent Centre for German Research": Inventing, patenting, making a profit. IPR HALPDESK BULLETIN, N° 21, May - June 2005

²⁹ Technology Transfer Accelerator. European Investment Fund. 2008. (www.eif.org/tech_transfer)

ევროპა ვერ მიაღწევს "მშპ 3% კვლევასა და შემუშავებაზე" მიზანს³⁰. კვლევის მხარდამჭერი გრანტები, როგორც წესი, თანადაფინანსებას გულისხმობენ საწარმოს მხრიდან. საზოგადოებრივი სახსრები ეხმარება, აგრეთვე, კვლევისა და ინოვაციის სექტორში სარისკო კერძო კაპიტალის მოზიდვას.

ჩანართი 1

უნგრეთი

განვიხილოთ უნგრეთის მაგალითი. უნგრეთი *ინტეგრალური საინოვაციო ინდექსის* სიდიდის მიხედვით არ არის ევროპაში ყველაზე მოწინავე ქვეყანა – მას მხოლოდ მე-15 ადგილი უკავია. მისი ამოცანაა *დამწვევი ქვეყნების* კატეგორიიდან *ჯერ მიმდევარი (მიმყოლი)*, ხოლო შემდეგ *მოწინავე* ქვეყნების კატეგორიაში გადასვლა. ამ სტრატეგიაში¹ იგი *მსს* კვლევით აქტიურობას სათანადო ადგილს უთმობს. გარდა ევროგაერთიანების ზემოსხენებული პროგრამებისა, უნგრულ *მსს* რამდენიმე ეროვნულ პროგრამაში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება:

ეროვნული ტექნოლოგიური პროგრამა, რომელიც მხარს უჭერს საშუალოვადიან გამოყენებით კვლევას 5 სტრატეგიული მიმართულებით: ბიოტექნოლოგია, ნანო- და მიკროტექნოლოგია, მასალებისა და წარმოების ტექნოლოგიები, გატემოსდაცვითი ტექნოლოგიები. უპირატესობა ეძლევა კვლევითი ორგანიზაციების, უნივერსიტეტებისა და საწარმოების ერთობლივ პროექტებს (კონსორციუმებს). მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უცხოური ფირმების უნგრეთში რეგისტრირებულ ქვედანაყოფებსაც (იურიდიულ პირებს).

იანოშ ირინის პროგრამა (János Irinyi program), რომლის მიზანია *მხოლოდ* ახალი ინოვაციური *მსს* დაფუძნება, ან არსებულის განვითარება. იგი *მსს* სთავაზობს კვლევის შედეგების კომერციალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების მრავალფეროვან ფინანსურ და არაფინანსურ დახმარებას. იგი იღებს კვლევის შედეგს ნაკეთობის/პროცესის პროტოტიპის დონიდან და ინკუბაციის, საბაზრო კვლევის, საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის, საცდელი წარმოების დაფუძნებისა და სხვა გზებით გაყავს იგი ბაზარზე.

საინოვაციო განვითარების რეგიონული პროგრამა (Gábor Baross Program) რეგიონული საინოვაციო ქსელის განვითარებაზეა ფოკუსირებული (რეგიონული საინოვაციო სააგენტოები, კვლევისა და ტექნოლოგიის ფონდის რეგიონული წარმომადგენლობები და სხვა) და ამ ქსელის მეშვეობით საინოვაციო მომსახურებას უწევს მცირე და მიკროსაწარმოების საინოვაციო ინციატივებს.

საინოვაციო პროგრამა მიზნობრივი სექტორებისთვის (Oszkár Asbóth program) საერთაშორისო მნიშვნელობის ინოვაციური კლასტერების შექმნაზეა ორიენტირებული. მონაწილეობა შეუძლიათ კონსორციუმებს, რომლებშიც არა ნაკლებ 10 წევრისაა (საწარმოები, უნივერსიტეტები, კვლევითი ორგანიზაციები).

კვლევისა და შემუშავების ეროვნული პროგრამა (Ányos Jedlik Program) გრძელვადიან სტრატეგიულ სამეცნიერო და კონომიკურ გარდევვებზეა ორიენტირებული. უპირატესობა ენიჭებათ ისეთ კონსორციუმებს, რომელთა სათავეში წარმოებები დგანან.

ამ პროგრამების მნიშვნელოვანი ელემენტია სამეცნიერო კადრების მომზადება, დამაგრება და მობილუობა.

³⁰ Raquel Ortega Argilés and Peter Voigt. *Business R&D in SMEs. IPTS WORKING PAPER on CORPORATE R&D AND INNOVATION No.07/2009*, p.22 [European Commission's Joint Research Centre (JRC), Institute for Prospective Technological Studies (IPTS) and the Directorate General Research Directorate C, European Research Area: Knowledgebased economy].

მაგალითად, ნახშირის მომპოვებელ რეგიონებში უმუშევრობის წარმოქმნა სხვა ენერგომატარებლებზე გადასვლის შედეგად). ასეთ რეგიონებში ახალი სამრეწველო მიმართულებების განვითარებისა და სამუშაო ძალის გადამზადების რეგიონული ამოცანები წარმოიქმნება. მსს, მათი მობილობისა და მოქნილობის წყალობით, ასეთი მდგომარეობიდან გამოსვლის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა.

აქედან გამომდინარე, ევროგაერთიანებამ იზრუნა ისეთი მართვის სიტემის შექმნაზე, რომელიც კონკურენტუნარიანი რეგიონების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. წლების განმავლობაში ფუნქციონირებს რეგიონული პოლიტიკის გენერალური დირექცია³¹, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური განვითარების რეგიონული პოლიტიკის გამტარებელია. მნიშვნელოვანია, მაგალითად, ევროკავშირის რეგიონების ასამბლეის³² შექმნა. ევროკავშირის დონეზე რეგიონული განვითარების ღონისძიებებს აფინანსებენ სტრუქტურული ფონდები: რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი (ERDF), და ევროპული სოციალური ფონდი, აგრეთვე, ერთობის ფონდი და ევროპული საინვესტიციო ფონდი. რეგიონულ განვითარებაზე საერთოევროპული (ევროკომისიის) ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი იხარჯება (36% – 50 მილიარდი ევრო წლიურად).

საინოვაციო ღონისძიებები ორი მიმართულებით ხორციელდება:

- რეგიონებში საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა.
- რეგიონებში კონკრეტული პროექტების მხარდაჭერა ზემოთ მოყვანილი ორგანიზაციების პროგრამებისა და სქემების ჩარჩოებში.

ამ ღონისძიებებს ევროკომისია, ეროვნული მთავრობები და რეგიონული ადმინისტრაციები ერთობლივად ახორციელებენ და აფინანსებენ, რადგანაც სამივე მხარე დაინტერესებულია მათი შესრულებით.

³¹ Directorate General for Regional Policy (http://ec.europa.eu/dgs/regional_policy/index_en.htm)

³² Assamby of European Regions (<http://www.aer.eu/>)

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ *ევროპული ბიზნესის ინოვაციის ცენტრების ქსელი* და *ქსელი ევროპული საწარმო*. პირველი მოიცავს 155 *ბიზნესის ინოვაციის ცენტრს* (ბიზნეს-ინკუბატორები) ევროპის ყველა ქვეყანაში და 75 ასოცირებულ წევრს სხვა ქვეყნებში. მეორე 2008 წლიდან აერთიანებს 70 *ინოვაციის გადამცემ ცენტრს* (Innovation Relay Centres – IRC) და *ევრო ინფო ცენტრებს* (Euro Info Centres-EIC) – სულ 600 ორგანიზაციას, რომელიც მცირე საწარმოებისთვის უზრუნველყოფს ინფორმაციას ევროგაერთიანებისა და ადგილობრივი შესაძლებლობების შესახებ (პარტნიორები, ტექნოლოგიები, კანონმდებლობა, დაფინანსების წყაროები და სხვა) და უწყევს კონსულტირებას ამ ინფორმაციის მათი საჭიროებისთვის გამოყენების თაობაზე. ცხადია, ორივე ქსელის ცენტრები განლაგებულია რეგიონებში და რეგიონული განვითარების ამოცანებს ემსახურება.

ჩანართი 2

დიდი ბრიტანეთი

ძლიერი რეგიონული საინოვაციო ინფრასტრუქტურა დიდ ბრიტანეთში ეყრდნობა *რეგიონული განვითარების სააგენტოების* (თითო ყოველ რეგიონში) ქსელს. სააგენტოები რეგიონში საინოვაციო განვითარებისთვის განკუთვნილი ევროპული, ეროვნული (სხვადასხვა სამინისტროების) და რეგიონული მთავრობების სახსრებს აერთიანებენ და მართავენ, აგრეთვე სხვა წყაროებიდანაც იზიდავენ სახსრებს. თითოეულის მიერ წლიურად განხორციელებული პროექტების მოცულობა მრავალ ასეულ მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს. დაწვრილებით მათი საქმიანობა შეიძლება ინახოს მისამართზე www.growthregions.gov.uk. ჩამოვთვალოთ ერთერთი მათგანის, *ვესტ მიდლენდის სააგენტოს* (პტტპ//წწწ.ადვანტაგეწმ.ცო.უკ, წწწ.ადვანტაგეცონცეპტს.ცო.უკ) საპროექტო გრანტების ტიპები, რომელიც მსს შეუძლია მიიღოს: *ბაზრის ტესტირების გრანტი, მიკროგანვითარების გრანტი, კვლევის გრანტი, განვითარების გრანტი, განსაკუთრებული გრანტი*. მათი სიდიდე 20,000 – 500,000 ფუნტ სტერლინგის ფარგლებშია.

ეროვნული და ადგილობრივი მთავრობები, როგორც რეგიონულ საინოვაციო ინფრასტრუქტურაში, ასევე საგრანტო პროექტებში, ევროკომისიისგან დამოუკიდებლადაც აბანდებენ. ჩვენ ქვეთავ 3.4-ში უკვე ვახსენეთ TIO იტალიაში და PVA გერმანიაში, სადაც 150 მეტი საინოვაციო ცენტრია (8-12 თითოეულ მიწაში). მრავალ მათგანს ხელი მიუწვდება *დაკრედიტების და რეკონსტრუქციის ბანკის* (KfW) დაფინანსებაზე, რომელსაც, ინფრასტრუქტურასთან და

კონსულტაციასთან ერთად, ახმარს საკუთარ კლიენტ - მსს. დეტალები შეიძლება იხასოს ტექნოლოგიების და ბიზნესის ინკუბაციის ცენტრების ვებგვერდი ასოციაციის (ADT – Arbeitsgemeinschaft Deutscher Technology) საიტზე www.adt-online.de.

3.6. მსს მხარდაჭერა რეგიონული კლასტერების განვითარების ჩარჩოებში

ევროპაში რეგიონული საწარმო-კვლევითი კლასტერები³³ იხილება როგორც კონკურენტუნარიანობის, ინოვაციისა და რეგიონული განვითარების მთავარი გამწვევი მექანიზმი, რომლის გაძლიერებას ემსახურება ეროვნული დონის ზომები და ევროპული ინსტრუმენტები, კერძოდ კვლევის მე-7 ჩარხო პროგრამა, ერთობის ფონდი და კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციის ჩარხო პროგრამა³⁴. ეს მიმართულება ხაზგასმულია მცირე საწარმოების ევროპულ ქარტიაში. კერძოდ, პუნქტი 8 (გვ. 7) ნათქვამია: ". . . დონისძიებები ეროვნულ და რეგიონულ დონეზე ხელს შეუწყობს ფირმათაშორის კლასტერებისა და ქსელების წარმოქმნას. . .". ევროპაში 2000 კლასტერია რეგისტრირებული. ის კლასტერები, რომლებმაც ევროგაერთიანების მხარდამჭერი პროექტები მოიპოვეს, გაერთიანებულნი არიან კლასტერების ევროპულ ალიანსში³⁵. განსაკუთრებული მხარდაჭერა აქვთ იმ კლასტერებს, რომლებიც კონკურენტუნარიანი არიან მსოფლიო ბაზარზე – საინოვაციო პოლუსები (ინოვაციონ ოლეს)³⁶.

კლასტერები შეიძლება ათობით და ასობით საწარმოს მოიცავდნენ, რომელთა უმრავლესობა მსს-ა. კლასტერის მონაწილე მსს, თუ კლასტერს ევროპული ან ადგილობრივი მხარდაჭერა გააჩნია სპეციალური პროექტის სახით, შეუძლია დამატებითი (მსს ჩვეულებრივი მხარდამჭერი სქემების მიმართ) დახმარება

³³ კლასტერი ურთიერთდაკავშირებულ და გეოგრაფიულად ახლომდებარე საწარმოთა ჯგუფია, რომელიც ერთობლივად იყენებს სპეციალიზებულ ინფრასტრუქტურას, მუშახელის ბაზარს და მომსახურებას. კომპანიების, მიმწოდებლების, მომსახურე ფირმებისა და კვლევითი ინსტიტუტების კონცენტრაცია კლასტერში სწრაფად ზრდის მონაწილეთა პროდუქტიულობას.

³⁴ Competitiveness and Innovation Programme

³⁵ European Cluster Alliance (www.proinno-europe.eu/doc/eca_copenhagen.pdf)

³⁶ Innovation Poles (Poles of Excellence) – ევროპული მიდგომები შეიძლება იხასოს: Towards world-class clusters in the European Union: Implementing the broad-based innovation strategy. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS {SEC(2008) 2637}. COM(2008) 652, Brussels, 17.10.2008

მიიღოს როგორც გრანტების, ასევე არასაფინანსო (კონსულტაციის და სხვა სახით). ამგვარად, მშს ორმაგ მოგებას ნახულობს – კლასტერის შიგნით კოოპერაციის გზით ეფექტიანობის ზრდასა და სპეციალურ დახმარებას.

ჩანართი 3

ესტონეთი

ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან კლასტერების განვითარების სფეროში აქტიურია ესტონეთი. ესტონეთმა დაახლოებით 20 კონკურენტუნარიანი კლასტერი გამოავლინა, რომლებიც ესტონეთის ექსპორტის 70% უზრუნველყოფენ. მათ შორისაა ანალიზური ინსტრუმენტები, მძიმე კონსტრუქციების მომსახურება, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგია, მეთევეზობა და თევზის პროდუქტები და სხვა. ზოგიერთ კლასტერში, მაგალითად, ბიოტექნოლოგიაში, . . . ორგანიზაციაა გაერთიანებული, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიებში – რამდენიმე ასეული. ისეთ კლასტერში, როგორცაა ავეჯის წარმოება, არსებით როლს თამაშობენ 50 წელზე მეტი ასაკის საწარმოები, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიებში ყველა ფირმა 20 წელზე ნაკლები ასაკისაა.

ბიოტექნოლოგიის კლასტერს სათავეში უდგას ესტონეთის ბიოტექნოლოგიური ასოციაცია (www.biotech.ee), რომელიც კოორდინაციას უწევს კლასტერის მუშაობას, უზრუნველყოფს კავშირს ევროპული ბიორეგიონების საბჭოსთან (Council of European BioRegions -CEBR), მე-7 ჩარჩო პროგრამასთან და კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციის პროგრამასთან. იგი გაწევრიანებულია რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში, რითაც კლასტერის საერთაშორისო კონტაქტებს უზრუნველყოფს. ყველა წევრი ორგანიზაცია მსხია

ესტონეთი ცდილობს განავითაროს ისეთი კლასტერები, სადაც სპეციალური ცოდნა და მოქნილობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მასშტაბური წარმოება და სიმძლავრეები.

3.6. მცირე ბიზნესის აქტის შესრულების მონიტორინგი

ევროკომისია მცირე ბიზნესის აქტის, როგორც ლისაბონის სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტის შესრულებას ყურადღებით აკვირდება. დაკვირვების (მონიტორინგის) ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს მშს საქმიანობის მიმოხილვა, რომელიც საწარმოების გენერალურმა დირექტორატმა 2008 წლიდან შემოიღო. იგი შედგება წლიური ევროპული მშს შესახებ მოხსენებისგან, ქვეყნების მიხედვით მომზადებული წლიური ანგარიშებისგან, რომლებსაც მცირე ბიზნესის ფაქტების ფურცლები ეწოდება და დამატებითი სპეციალური, უფრო დრმა გამოკვლევებისგან. ეს მასალები, ისევე, როგორც მათი შედგენის მეთოდოლოგია და გამოყენებული ინდიკატორები, მკითხველს შეუძლია ნახოს ევროკომისიის საწარმოთა გენერალური დირექტორატის

ვებსაიტზე³⁷. შეფასება ხდება ათი მიმართულებით, რომელიც *მცირე ბიზნესის აქტშია* დეკლარირებული.

4. დასკვნა

10 წლის განმავლობაში, *2000 წლის ლისაბონის სამიტიდან* დაწყებული, სადაც მცირე ინოვაციური ბიზნესის როლი ხაზგასმული იყო, ყურადღება მის მიმართ ევროპაში არ მოდუნებულა. პირიქით, იგი განუწყვეტლივ იზრდებოდა, რასაც ადასტურებს მისი ხელშეწყობის გზების ძიება. დიდი წინსვლა იყო *ბიზნესისთვის კვლევაში, შემუშავებასა და ინოვაციაში სახელმწიფო დახმარების ევროპული ჩარხის შესახებ* ევროკომისიის გადაწყვეტილება 2006 წელს და, ბოლოს, 2008 წელს, *მცირე ბიზნესის აქტის* მიღება, რომელმაც მცირე ბიზნესი ევროპის განვითარების წინა ხაზზე გაწია. წევრმა ქვეყნებმა ამ წლების განმავლობაში ერთი მეორის მიყოლებით გაატარეს ღონისძიებები საგადასახადო შეღავათების, პირდაპირი საფინანსო სტიმულების, უფასო მომსახურების შეთავაზების (არასაფინანსო დახმარების) და ა. შ. ამ ღონისძიებების საჭიროება და მნიშვნელობა დაადასტურა 2009 წლის *ევროპული მსს შესახებ მოხსენება*³⁸.

მოხსენების თანახმად, 2002 წლიდან 2007 წლამდე *მსს* შექმნეს ევროპაში ახალი სამუშაო ადგილების 84% - გაცილებით მეტი, ვიდრე მათში დასაქმებულთა წილიდან (67%) იყო მოსალოდნელი. თუმცა მათში შრომის ნაყოფიერება უფრო დაბალია, ვიდრე დიდ საწარმოებში, მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ მათი ინვესტიციებისთვის მზაობა უფრო მაღალია (23%), ვიდრე დიდი საწარმოებისა (18%). ეს ფაქტები ადასტურებს, რომ ევროგაერთიანების მხრიდან ყურადღება მცირე საწარმოების მიმართ გამართლებულია.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *მსს* სექტორის შედეგები გაიზრდება, ევროგაერთიანება თუ შეძლებს *ლისაბონის სტრატეგიით* გათვალისწინებული (უახლესი დაზუსტებების ჩათვლით) ყველა მიზნის მიღწევას (განსაკუთრებით სარისკო კაპიტალის გაზრდასა და ხელმისაწვდომობის გამარტივებას,

³⁷ The SME Performance Review; The Report on European SMEs; SBA fact sheets. (http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/performance-review/index_en.htm)

³⁸ David Audretsch, Rob van der Horst, Ton Kwaak, Roy Thurik. *First Section of the Annual Report on EU Small and Medium-sized Enterprises*. Zoetermeer, January 12, 2009

უნივერსიტეტებისა და კვლევითი ორგანიზაციების მსს-თან კავშირების გაძლიერებას, ინტელექტუალური საკუთრების საკითხების გამარტივებას).

ლიტერატურა

1. Competitiveness and Innovation Framework Programme (CIP) of the European Commission (2007 to 2013) Decision No 1639/2006/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 2006.
2. David Audretsch, Rob van der Horst, Ton Kwaak, Roy Thurik. *First Section of the Annual Report on EU Small and Medium-sized Enterprises*. Zoetermeer, January 12, 2009
3. Facing the challenge. The Lisbon strategy for growth and employment. Report from the High Level Group chaired by Wim Kok. Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, 2004. (http://ec.europa.eu/growthandjobs/pdf/kok_report_en.pdf)
4. Goldberg I. *at al. Public Financial Support for Commercial Innovation*. Europe and Central Asia Knowledge Economy Study Part I. Chief Economist's Regional Working Paper Series, Vol.1, no.1, World Bank, 2006
5. Hubert Müller. 50 years of the "Fraunhofer Patent Centre for German Research": Inventing, patenting, making a profit. IPR HALPDESK BULLETIN, N° 21, May - June 2005
6. Intangible assets and tax depreciation. COMMON CONSOLIDATED CORPORATE TAX BASE WORKING GROUP (CCCTB WG). DIRECTORATE-GENERAL TAXATION AND CUSTOMS UNION, Analyses and tax policies, Analysis and Coordination of tax policies, Meeting to be held on Thursday 10 March 2005, Centre de Conférences Albert Borschette, Brussels. Taxud E1 MH/CCCTB\WP\005\doc\en. Brussels, 21 February 2005
7. Jacek Warda. Incentives for ICT Adoption: Canada and Major Competitors. Information Technology Association. July 2005. p.5 (<http://www.itac.ca/uploads/research/05july.pdf>)
8. ოლეგ შატბერაშვილი. ინტელექტუალური საკუთრების საკითხები სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკაში: პატენტები (კვლევის ანგარიში, ნაწილი პირველი და მეორე). ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაცია, თბილისი, 2009.
9. On a multiannual programme for enterprise and entrepreneurship, and in particular for small and medium-sized enterprises (SMEs) (2001-2005). Council Decision of 20 December 2000 (2000/819/EC). OJ L 333 of 29.12.2000

10. Promotion of SMEs' competitiveness. FINAL REPORT OF THE EXPERT GROUP SIMPLIFIED TAX COMPLIANCE PROCEDURES FOR SMES (PERSONAL INCOME TAX, CORPORATE INCOME TAX, PAYROLL TAX). EUROPEAN COMMISSION. ENTERPRISE AND INDUSTRY DIRECTORATE-GENERAL. June 2007. p.5
11. Raquel Ortega Argilés and Peter Voigt. *Business R&D in SMEs. IPTS WORKING PAPER on CORPORATE R&D AND INNOVATION No.07/2009*, p.22 [European Commission's Joint Research Centre (JRC), Institute for Prospective Technological Studies (IPTS) and the Directorate General Research Directorate C, European Research Area: Knowledgebased economy].
12. State Aid Act - COMMUNITY FRAMEWORK FOR STATE AID FOR RESEARCH AND DEVELOPMENT AND INNOVATION. (2006/C 323/01).
13. The Bayh-Dole Act at 25. BayhDole25, Inc., April 17, 2006.
14. The European Charter for Small Enterprises. Decision of the European Council, Feira, 19-20 June 2000. (http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/files/charter/docs/charter_en.pdf)
15. The New SME Definition. Increased opportunities in EU research. European Commission, 2005. (ec.europa.eu/research/sme-techweb/pdf/sme-definition_en.pdf)
16. Think Small First. A *Small Business Act* for Europe. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS, Brussels, 12.5.2004. COM(2004) 373 final. {SEC(2004) 564, 565, 566, 567, 568, 569, 570}. (ec.europa.eu/world/enp/index_en.htm).
17. Towards world-class clusters in the European Union: Implementing the broad-based innovation strategy. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS {SEC(2008) 2637}. COM(2008) 652, Brussels, 17.10.2008
18. Young Innovative Enterprise Scheme. COMMUNITY FRAMEWORK FOR STATE AID FOR RESEARCH AND DEVELOPMENT AND INNOVATION. (2006/C 323/01), clause 5.4.
19. Коммерциализация результатов научно-технической деятельности: европейский опыт, возможные уроки для России. Под ред. В.В.Иванова, С.Клесовой, О.П.Лукши, П.В.Сушкова. М., ЦИПРАН РАН, 2006. 264с.

